# საქართველოს გაზეთი

## მარტის კზ დღეს ჩყით წლისა თბილისში.

## No. 4.


### სანკტპეტერბურღს

უმაღლესნი ბრძანებანი.

ფებერვლის გ. რიცხვითგან.

გარდმოიყვანებიან.

არტილლერიის მეორე ბრიგადის პოდპორუჩიკი ბარკუენევი სნეულებისგამო მოზდოკის არტილლერიის გარნიზონში პორუჩიკად.

ფებერვლის დ. რიცხვითგან.

განთავისუფლდებიან სამსახურიდამ.

დაჭრილობისგამო: ბაქოს არტილლერიის გარნიზონის პოდპორუჩიკი ბარტაშევიჩი სრულის ჯამაგირის პენსიონად მიცემით.

გარდაცვალებულნი გამოირიცხვიან ნუსხებიდამ.

ასტარხნის გარნიზონის პოლკის მაიორი ტრიფიმოვი.

ფებერვლის ე. რიცხვითგან.

გარდმოიყვანებიან.

სნეულებისგამო: ქვეითის ჯარის პოლკებით: ვორონეჟისის პორუჩიკი ლოიევში და რიაზკისა პორუჩიკი კოვალევსკი ასტარხნის გარნიზონის პოლკში.

ფებერვლის ზ. რიცხვითგან.

საქვეითო ჯარის სამსახურის შემდეგნი: ტულის გარნიზონის პოლკის პორუჩიკი რევუ-ნიცკი კამარინსკის ქვეითის ჯარის პოლკში.

ფებერვლის დ. რიცხვითგან.

გარდმოიყვანებიან.

სნეულებისგამო: იეგერის პოლკებით ი შეთხუთმეტისა შტაბსკაპიტანი ბორმოტოვი ასტარხნის გარნიზონის პოლკში, შეათექვსმეტისა კაპიტანი ტიმოხიევი მოზდოკისა, და პრაპორშიკი გორკოვსკი ყიზლარის გარნიზონის პოლკის ბატალიონებში.

შინაგანის მცველის ბატალიონებში: ყაზანის ქვეითის ჯარის პოლკის პორუჩიკი სუდაკოვი ნიჟეგოროდისაში, შეათერთმეტე იეგერის კაპიტანი დრაგოტეევი ეკატერინოსლავისაში.

შესაბამსახურით ინვალიდთ კომანდებში, ყაზანის ქვეითის ჯარის პოლკის პორუჩიკი შვანი ხერსონისაში, მოზდოკის გარნიზონის ბატალიონის პოდპორუჩიკი რისლავცოვი ასტარხნისაში.

წინაურთა სახელითა, შინაგანის მცველის ბატალიონებში, ტობოლსკის ქვეითის ჯარის პრაპორშიკი ტრიკე მოზდოკისაში, შეათხუთმეტე იეგერის პოლკის შტაბსკაპიტანი რეიკინი ბრიგადისაში, პორუჩიკი კოვანიცკი სარატოვისაში.

გარნიზონის ბატალიონებში ყიზლარისა პრაპორშიკი ზოლოტუხინი კურსკისაში, და ბაქოს პოდპორუჩიკი მიხაილოვი სარატოვსკისაში.

გამოცხადებანი.

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მიწოდებულნი არიან ქალმოსხვენებულის მამულების სიღრმის მიწოდებნი, რამეთუ ასანი სამუდამოს კალ...

მიუცემლობისათვს დადგმულნი არიან საქვეყნოდ გასასყიდად.

ა. ორი დუქანი თელავში მცხოვრების ბაბულა ყაზაროვისა თელავის ქალაქს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას იქაურის მცხოვრების თერმურაზ ბაღდასაროვისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილის კზ. და მაისის ვ. და ზ.

ბ. სახლის ადგილი აზნაურთ სოლომონ და კაკოლა ცარციევანაშვილებისა გორს იმ ვალში, რომელიც ჰმართებსთ მათ გორშივე მცხოვრების გაბრიელ დანდაროვისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კდ. და აპრილის ით. და კა.

გ. ვენახი კოლლეჟსკის ასესორის დიმიტრი ვახვახოვისა თელავის უეზდის სოფელს კურდღელაურს იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას თბილისში მცხოვრების არუთინა სალმაზოვისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილის კდ. და მაისის ბ. და გ.

დ. გლეხი თავადის გლახა ყორღანაშვილისა ივანე სულიაშვილი თავისის ცოლშვილითა და ქონებით თელავის უეზდში მცხოვრები იმ ვალის პასუხის გასაცემად, რომელიც ჰმართებს მას თელაველის თერმურაზ ბაღდასაროვისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილის კა. და მაისის ე. და ჱ.

ე. დუქანი და სახლი თელაველის გლახა კურდღელაშვილისა თელავის ქალაქს იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას თელაველისავე ივანე სულთანოვისა იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის ლა, და აპრილის ით და კა.

ვ. ორი ვენახი და ვენახის ადგილი თავადის ყორღანაშვილისა თელავის უეზდში იმ თეთრის მიუცემლობისათვს, რომელიც ჰმართებს მას სახაზინისა. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის ლა, და აპრილის ით. და კა.

ზ. გარდაცვალებულის თავადის გოგია მაჩაბლის ყმანი გორის უეზდის სოფელს ქაზიანში მცხოვრებნი ხიზანაშვილები მათის მამულით იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას ნადვორნის სოვეტნიკის თავადის შიოშ თუმანოვისა. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კდ, და აპრილის იზ, და ით.

ამის გარდა მოწოდებულნი არიან.

ჱ. კეთილმოსურნე ვაჭარნი ბურის დამზადებისა და მოტანისათვს სამმართლოებში ისე რომ ისინი უნდა გამოცხადდნენ სახაზინის ექსპედიციაში სავაჭროდ ვადაზედ მაისის ა. ი. და კ. და ერთისაგან მეორეზედ მოშაგებისათვის იმავე მაისის კზ. კთ. და კდ რიცხვში.

თ. ვისიც ვალი ჰმართებსთ გარდაცვალებულს კოლლეჟსკის რეგისტრატორს მიკირტუმა ამაქუნს ალავერდელს ზაზუნაშვილსა, და თავადთ დავითი და გოგია ტუსიშვილებსა, და ან რომელთაც მათი ემართოსთ ისინი უნდა გამოცხადდნენ საბუთებით ორის თვის ვადაზედ, ამაქუნისა და ზაზუნაშვილისა თელავის უეზდის სუდში, და თავადთ ტუსიშვილებისა თელავის დროებითს ოკრუჟნის სუდში.

მარტის კდ. რიცხვითგან.

უზენაესის საქართველოს მმართებლობის სახაზინის ექსპედიცია ამით უცხადებს ყოველთავე, რომ იგი იჯარით აძლევს სახელმწიფოს ბაღებს, რომელნიც ამას ქვემოთ არიან მოხსენებულნი.

თბილისის ქალაქში მეფის დავითისა და მეფისწულის ანნასტასიას ნაქონი.

ბორჩალოს მაზრის სოფლებს შულავერსა და ქოლაგირში.

და ტფილისის უეზდის სოფელს ცხინვალში

ზემოხსენებულის პალეპიდამ ორისა თბილისში და ერთისა შულავერში იჯარით აღებვის მოწადენი გამოცხადდნენ და აძლიეს ერთის წლის იჯარა პირველისათვის სამოც და ხუთი თუმანი, მეორისათვის ხუთი თუმანი და შვიდი რუბლი და მესამისათვის ოცი და შვიდი თუმანი, ამისთვის რომელთაც უნდოდესთ მიმატება და მიცემა ამაზედ მეტის იჯარის თეთრისა, და ან ჰსურთ ამათ გარდა სხვას პალეპის იჯარით აღება, რომელთაც მოწადენი ვინმე არ გამოცხადებულან, ისინი უნდა გამოცხადდებოდენ ხაზინის ექსპედიციაში იმ პალეპის იჯარით მიცემის შესასრულებლად უეჭველად მომავალის ვნებათ კვირის ხუთშაბათამდის.

## უცხო ქვეყნის ამბავნი.

### ანგლიისა.

ლონდონს იანვრის ვ. ერთს აქაურს მინისტერის მხრის გაზეთში დიად წვლილად არის მოხსენებული, თუ როგორ ცდილა ბონაპარტე გასაქცევად. ერთს ამერიკის ხომალდს, რომელსაც ჰქონდა დრაგები და დიდად დაზიანებული უფროსა ზღვის ღელვისაგან, ნება მისცემია წმინდის ელენას კუნძულის ნავთსაყუდელში მისვლისა იმის გასაკეთებლად, რისაც გაკეთება საჭიროდ ჰქონია იმ ხომალდს. ამ დროს მოუწერია ბონაპარტესთან მყოფს აქიმს ომირს ვითამც ქრისტიანქმნილის იმპერატორის უმდერის სიმრთელის გამო ჩვეულებრივის გამომიების დასაყენებლად, რომელიც მანამდის უეჭველად უფროსა ბონაპარტეს იქ ყოფნის დასარწმუნებლად. ამ გვარის სახით ბონაპარტეს ყოფილა კაცისაგან შეუტყობლად შეუძლია თავისი ხალხით დაუსხლტეს და სხვა და სხვას წინათვე ნაფიქრების ოსტატობით მოუტყუებია და დაუმინებია შვიდი ყარაული და მისულა ზღვისპირს. ტყიდამ უნი-შნებიათ გრძელს ჯოხზედ დამაგრებულის ფარნით და ისეთი რომელიც დანიშნული უფროსა ბონაპარტეს გასაპარებლად ხომალდამდის ზღვისპირზედ მოუახლოვებიათ. ამ დროს ერთს ყარაულთაგანს დაუნახავს სინათლე და დიად სწრაფად მივარდნილა ამ დიდს მხედართ მძღვანთან (რომელისაც შიშით ოდესმე მრწოდნენ მრავალნი მილიონნი) და მამაცურად უტაცნია ხელი საყელოში, უკან დაუბრუნებია, და სადაც აღგილი უფროსა იქავ მიუყვანია. იმ დროიდამ დაწყებული აქამომდე სამხედრო ხომალდებით დიად ფრთხილად ყარაულობენ და ინახვენ ბონაპარტეს, მაგრამ სხვების უმცირესი შეწუხებაც არა აქვს მათგან.

### იტალიიდგან.

კონსტანტინოპოლში მისულია სამი ამბავი. იბრაიმ იქაურის ფაშა შვილი გამოსდგომია ვეჰაბიტელთ და მათ ზედ გაუმარჯვნია, ახლა რომ შესულა იგი მედინიერს არაბისტანში და იქიდამ წამოუყვანია ტყვედ თვით იმათი ჯარის უფროსი, ოდესაც ეგვიპტის ფაშას ეს სასიხარულო ამბავი მისულა, მაშინ გამოჩენილი მეჯლიში გარდაუხდია ერთის გვარად.

ამ ამბავის გაგონების შემდგომად კონსტანტინოპოლში მიუყვანიათ ოცამდის ტყვე ვეჰაბიტელი. უპირველესი იმათი უფროსი აბდულა და ორი ამხანაგი მისი ჯერ დიად ფრცხილად უტანჯავთ და მერმე იქ. რიცხვში საცხადოდ მათთვის თავები დაუყრევინებიათ, პირველისათვის სულთნის სერალის მეორეს ალაყაფის კართან, მეორისათვის ბაზარის მოედანზედ ლეოპოლიტიანების ხევგზის მახლობლად, და მესამისათვის ხონთქრის მეფის სასახლის წინ, სადაც იმ დღეს ხონთქარს სადილის სტოლი ჰქონია.

კონსტანტინოპოლიდგანვე იწერებიან, რომ ხონთქარს უბრძანებია საგანგებოდ გაკეთება

დიდის ურმისა და იმაში ჩასმა ეგჳპტის ფაშის შვილისაგან ტყუედ წამოყვანილის ელლადიელთ ყურმისა თავისის სახლეულებით, და ისე შეყვანა მისი ქონსტანტინოპოლში, როგორცვა მეძლად ჰსცოდნიათ რომაელთ გმირთ.

გამოცხადებულნი ამბავნი წარსრულთ ჩყიბ, ჩყიგ და ჩყიდ წელთ სახოგადოთა კეთილ მემთხვეულებათათვის

ჩყიბ წლის ნახევარში ნაპოლეონს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დამორჩილებით სრულიადი ქვეყანა დაიპყრა, და იმავე წლის გასულს ტყუეთ გარდა ჩვენს სამშობლოს მამულში არც ერთი მტერი დარჩომილა, შემდგომად ბონოპარტესაგან რუსეთისადმი შესახვევრთა პოლშის სამფლობელოთ დაპყრობისა კელმწიფე იმპერატორმა მიუტევა ყოველთა მათ პოლშელთა რომელნიცა ნაპოლეონის აღთქმით მოცთუნებულ იყუნეს და წარსულდევნიდეს მეგლთა თანმემამულეთ მათთა, ნაპოლეონ იქადდა, რომ იმას რუსეთში ბარბაროსი ქმნილება ჰქონდა შემოსილ სისხლით; ალექსანდრე პირველმა სამხრეთის ვალად შერაცხა, რომელიცა ბრალეულთათვის მიეტევებინა და ბოროტისა წილ კეთილი მიეგო მათთვის.

ჩყიბ წლის დეკემბრის კე. კელმწიფე იმპერატორმა გამოსცა ორი მანიფესტი ელნას, პირველში იყო მოხსენებული რუსეთის გამოხსნა მტერთაგან; მეორეში იყო გამოცხადებული აღშენება ტაძრისა სადიდებულად მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა. ეს მანიფესტის დასასრულში არის თქმული, ტაძარი ესე ეგოს უკუნითი უკუნისამდე, იქმნებოდეს მას შინა წინაშე წმიდისა საკურთხეველისა ღვთისა საკმეველი მადლობისა შემდგომთა ნათესავთა ერთბამად სიყვარულსა და პატივსა თანა საქმეთადმი წინაპართა მათთასა.

რუსეთის დროშები მხწარავლად გაიშალნენ თვისის მამულის სამძღვარს გარეთ, რუსნი სამძღვარს გარეთ გავიდნენ არა პარტიოლით დაპყრობისათვის ქვეყანისა, არამედ გამოხსნისათვის ევროპიისა რომელიცა იყო კვ. წელსა ენკენისა შინა ფრანცუზთ მძლავრებისაგან, ამას აღიარებენ თვით კეთილ-მოაზრენი ფრანცუზთ აქამომდენიცა. დურდან რომელმანცა ჰქმნა წიგნი და სახელად უწოდა მას დაშქრობა მოსკოვსა ზედა, იტყვის მას შინა შემდგომად გამოხსნისა მამულისა თვისისა, ალექსანდრე პირველმა განგებულებით ერთადმი განხვენების მიმცემად დანიშნულმა განაგრძო გარე სრბა თვისი და განხსნა საგრეველნი ნემეცის სამფლობელოთანი, რომელნიცა არიან მესამძღვრედ რუსეთისა; ყოველნი მსედარნი მთავარნი მისნი შეიტყობდენ სამძღვარს გარეთა მცხოვრებთა ერთარცა მამათა და მეგობართა, კეთილშობილმა საყოველთაოდ გამოაცხადა რომელ რუსეთის იმპერატორს არა აქვს ჰაზრი ქვეყანათ დაპყრობისა.

ნამდვილნი სიტყვანი, თქმულნი კუტუზოვის ბრძანებასა შინა არიან შემდგომნი: ვიყვნეთ სულგრძელნი დავსდვათ ხსვაობა შორის მტრისა და მშვიდობიანის მცხოვრებისა: სიმართლე და სიმშვიდე ყოფაქცევისა მხოლოდ ცხადად უჩვენებენ, რომ ჩვენ არა დამონებასა მათსა და ამაოსა დიდებასა ვჰსწადოდეთ, არამედ ვეძიებთ, რათა განვათავისუფლოთ უბედურებათა და შეიწროებათაგან თვით ერნიცა იგი, რომელნიცა შეჭურვილ იყვნენ პირისპირ რუსეთისა.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)